ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1–989

"1" მაისი 2017 წ.

სამშენებლო სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის მეშვეობით განხორციელების შედეგად გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებში სამუშაოს ახალი პოზიციების ანაზღაურების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „კ" და „ღ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სამშენებლო სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის მეშვეობით განხორციელების შედეგად გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებში სამუშაოს ახალი პოზიციების წარმოქმნის შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან ანაზღაურება განხორციელდეს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნით განსაზღვრული ახალი პოზიციის ერთეულის ფასის ფარგლებში, ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.
2. სამშენებლო სამუშაოს ახალი პოზიციის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირების შემთხვევაში, ექსპერტიზის მომსახურების ღირებულებას აანაზღაურებს შემსყიდველი, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის N171 დადგენილებით განსაზღვრული ტარიფების ფარგლებში.
3. ამ ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტები, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსახორციელებელ ელექტრონულ ტენდერებზე, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერებზე, კონკურსებზე სატენდერო და საკონკურსო კომისიებისა და მათი აპარატის შექმნის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 18 აგვისტოს N199 ბრძანების შესაბამისად შექმნილ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიების მიერ გათვალისწინებულ იქნას ბრძანების ამოქმედების შემდგომ გამოცხადებულ ტენდერებში.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსს და საქალაქო სამსახურების უფროსებს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დავით ნარმანია

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200